Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

№23, იანვარი, 2023

საქართველოში რუსეთის აგრესიის შედეგად (1991-1993 და 2008 წლებში) გაჩენილი იძულებით გადაადგილებული პირების თბილისის ურბანულ სივრცესთან ინტეგრაციის სირთულეები

ნინო ნაყოფია
მარიამ სოხაძე

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: nino.nakopia767@sps.tsu.edu.ge
mariami.sokhadze326@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

მე-20 საუკუნის ბოლოს საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა კიდევ ერთხელ დაიძაბა. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაშლის შემდეგ, 80-იანი წლებიდან, რუსეთი ჯერ კიდევ ცდილობდა საკუთარი გავლენის შენარჩუნებას, რაც გამოიხატებოდა კრემლის მიერ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული სეპარატისტული, ანტიქართული ნაციონალისტური ძალების მობილიზებასა და მანიპულირებაში, რამაც საბოლოოდ ხელი შეუწყო აფხაზეთში აგრესიული სეპარატიზმის ჩამოყალიბებას. ეს ყოველივე, კი, შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა. 1993 წლიდან დაიწყო აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის მასობრივი დევნა და ლიკვიდირება. აფხაზეთი თითქმის დაიცალა ქართული მოსახლეობისაგან, რის შედეგადაც 350 ათასზე მეტი ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა მშობლიური კუთხე და საკუთარ სამშობლოში დევნილად იქცა.

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს იმ პრობლემების შესწავლა, რომელთაც იძულებით გადაადგილებული პირები აწყდებოდნენ/აწყდებიან საზოგადოებაში ინტეგრირებისა და თბილისის ურბანულ გარემოსთან ადაპტაციის პროცესის კვალდაკვალ. საკვლევი საკითხის სპეციფიკურობიდან და სენსიტიურობიდან გამომდინარე შეირჩა მონაცემთა მოპოვების ისეთი მეთოდი, როგორიც არის ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუ. იძულებით გადაადგილების ფენომენმა სრულიად შეცვალა ამ ინდივიდთა არსებობის, ცხოვრების წესი. ახალმა ფიზიკურმა და სოციალურმა სივრცემ მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია მათ პიროვნულ განვითარებაზე. ამ მეთოდის გამოყენებით მკვლევარი დააკვირდება ინდივიდების მიერ განვლილ გზას დევნილობამდე და დევნილობის შემდეგ, რაც მკვლევარს მისცემს შესაძლებლობას - მათი პერსპექტივიდან შეხედოს ახალი სოციალური სტატუსის აღიარებას, გააზრებასა და შემდგომი რეინტეგრაციის პროცესს.

საკვანძო სიტყვები: ოკუპაცია; იძულებით გადაადგილებული პირი; ურბანული სივრცე; ინტეგრაცია; რესოციალიზაცია; სოციალური გაუცხოება; სოციალური ურთიერთობა; ემოციური მდგომარეობა.

შესავალი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, აღნიშნული მოვლენების შედეგად საქართველოს 273 441 რეგისტრირებული დევნილი ჰყავს.

1991-1993 და 2008 წლებში განვითარებულმა შეიარაღებულმა კონფლიქტებმა სრულიად შეცვალა ამ პერიოდში დაზარალებულ ადამიანთა ცხოვრების წესი. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან და სამაჩაბლოდან წამოსულ პირებს შეექმნათ სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები. იძულებით გადაადგილებულ პირთა გაჩენას მოჰყვა სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების აღმოცენება: პირველ რიგში, ეს იყო მათი სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა და სტრატეგიული გეგმის შემუშავება, მათი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციისთვის. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ დევნილთა კანონი დროთა განმავლობაში განიცდის მოდიფიცირებას და მისი მორგება იძულებით გადაადგილებულ პირთა საჭიროებების მიხედვით ხდება. აღნიშნული კანონის საბოლოო, კონსოლიდირებული ვერსია მიზნად ისახავს ისეთი სამართლებრივი მექანიზმის შექმნას, რომელიც: ა) უზრუნველყოფს დევნილის უფლებების დაცვას დევნილობის პერიოდში; ბ) ხელს უწყობს დევნილის ინტეგრაციას მისი რეგისტრაციის ადგილზე; გ) ხელს უწყობს დევნილის პრობლემების გადაჭრას. (მაცნე, 2014)

იძულებით გადაადგილებულ პირთა სრულფასოვანი ინტეგრაცია მოცემული საკითხის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია, რომელიც, თავის მხრივ, საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია და არსებულ სიტუაციაში ყველაზე დიდი როლი ენიჭება სწორედ სახელმწიფოს, რომელიც აყალიბებს სამოქმედო გეგმასა და სტრატეგიას. აუცილებელია, ვისაუბროთ იმ მნიშვნელოვანი მიღწევების შესახებ, რომლებიც სახელმწიფომ განახორციელა ბოლო ათწლეულის განმავლობაში: გაიცა ფულადი კომპენსაციები დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად. ამასთან ერთად, გაეროს მხარდაჭერით შეიქმნა სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანიც იყო 246000 დევნილისთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, აგრეთვე შეიქმნა სხვადასხვა პროექტი ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის მხარდასაჭერად. ასევე შემუშავდა დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველსაყოფი პროგრამები. 2009-2016 წლებში 19192 ოჯახმა მიიღო საცხოვრებელი ფართი ახალაშენებულ ან რეაბილიტირებულ შენობებში.

ლიტერატურის მიმოხილვა:

,,ეუთო''-ს 1994, ბუდაპეშტის 1996, ლისაბონისა და სტამბოლის 1999 წლების სამიტების რეზოლუციებში დადასტურდა, რომ განხორციელდა ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა. (მთავრობა, 2018) ამავე წლებში, რუსეთის ფედერაცია იგივე საქმიანობას ეწეოდა სამაჩაბლოს ტერიტორიაზე. მათ დაიწყეს ეთნიკური დაპირისპირების გაღვივება, ისევე

როგორც აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ხდებოდა ადგილობრივი, სეპარატისტულად განწყობილი ელიტის ჩამოყალიბება, რის შედეგადაც 1991 წლის იანვარში დაიწყო შეიარაღებული კონფლიქტი. კონფლიქტის შედეგად დაიღუპა ათასამდე, ხოლო უგზო-უკვლოდ დაიკარგა ასამდე ადამიანი. დაახლოებით 70-80 ათასამდე ადამიანი გააძევეს საცხოვრებელი სახლებიდან. რეგიონი ფაქტობრივად დაცარიელდა. (shidakartli.gov.ge, 2022)

1991-1993 წლებში საქართველოში გაჩნდა იძულებით გადაადგილებულ პირთა პირველი ნაკადი, თუმცა 2008 წელს რუსეთმა ხელახლა განახორციელა შეიარაღებული კონფლიქტი სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ. მანამდე არსებული ე.წ "გაყინული კონფლიქტი" სრულმასშტაბიანმა სამხედრო აგრესიამ და ოკუპაციამ ჩაანაცვლა, რომელიც დაიწყო ცხინვალის რეგიონის მიმართულებით. მეორე ფრონტი, კი, გაიხსნა აფხაზეთის მიმართულებითაც. (shidakartli.gov.ge, 2022) მიუხედავად, ევროკავშირის შუამავლობით შექმნილი ექვსპუნქტიანი გეგმისა, რომელიც მიზნად ისახავდა საომარი მოქმედების შეჩერებასა და სიტუაციის სტაბილიზაციას, რუსეთმა აღნიშნული პრინციპები და გეგმის პირობები არ გაითვალისწინა და დაარღვია, რაც გამოიხატა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე შეჭრით. სწორედ ამ პერიოდში ჩნდება საქართველოში დევნილთა მეორე ნაკადი, რომელთა რიცხვი 26 ათასამდე აღწევს.

ადამიანები არ არიან პასიურები, ისინი გავლენას ახდენენ და ცვლიან გარემოს, ისევე როგორც გარემო გავლენას ახდენს მათზე და ცვლის მათ. ამიტომ, ეს ორმხრივი პროცესია, სადაც ადამიანები ქმნიან და ცვლიან გარემოს. ამავდროულად, ისინი არიან ამ გარემოს გავლენის ქვეშ. (კაჭკაჭიშვილი, 2014) თბილისის ურბანულ სივრცეში ვხვდებით არაერთ ე.წ დევნილთა ჩასახლებას, რომელსაც საერთო საცხოვრებლის სახე აქვს, სადაც პირადი სივრცე ნაწილობრივ შეზღუდულია. ამგვარი ჰომოგენური ტიპის დასახლებები, საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესს აბრკოლებს, ჩნდება საფრთხე - საზოგადოებისადმი გაუცხოების. ურბანული სოციოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ურბანული დიზაინის სოციალური განზომილება, რომელიც, თავის მხრივ, აღწერს შერეული თემების აუცილებლობის კომპონენტს. სეგრეგაცია სოციალურ-ეკონომიკური კლასის მიხედვით ახდენს საჯარო სფეროს როლის დისკრედიტაციას, როგორც მნიშვნელოვანი რგოლისას სოციალურ სწავლებაში, პერსონალურ განვითარებასა და ინფორმაციის გაცვლაში. ურბანული სივრცის სოციალური სეგრეგაცია და მისგან გამომდინარე არასასურველი ეფექტები სულ უფრო მზარდ ყურადღებას იღებს ლიტერატურისგან, რომელიც ურბანულ დიზაინს ეხება. სეგრეგაცია უშვებს სოციალური განსხვავების იგნორირებას და აქედან გამომდინარე „სხვების“ შიშს (Ellin 7996: 145-6). რიჩარდ სენეტის ნაშრომები ძირითადად სოციალურ სეგრეგაციას ეხება (მაგალითად Sennett 1970, 1977, 1990). სენეტის აზრით (1990: 20), ადამიანები რომლებიც ცხოვრობენ „ჩაკეტილ თემებში“ „შეზღუდულნი არიან განვითარებაში“: „ძველი გამოცდილებისგან მიღებული ჭრილობები, გონებაში ჩამჯდარი სტერეოტიპები, არ არის ურთიერთსაპირისპირო. დუენი ეხმაურება ამ არგუმენტს და ამატებს, რომ ბავშვები, რომლებიც მსგავს ჰომოგენურ გარემოში იზრდებიან ცუდად არიან მომზადებულნი დივერსიფიცირებულ საზოგადოებაში ცხოვრებისთვის. (კაჭკაჭიშვილი, 2014)

აქვე აღსანიშნავია, რომ ლოკალური ინტეგრაციისთვის აუცილებელია ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვება. ამ თემასთან დაკავშირებით არაერთი კვლევა ჩატარდა. 2017 წლის მონაცემებით, ჯერ კიდევ 52886 ოჯახი საჭიროებდა თავშესაფრით უზრუნველყოფას. რაც შეეხება უშუალოდ ეკონომიკურ მდგომარეობას, სულ გამოკითხული მოსახლეობის 40,1% იყო უმუშევარი. (ინსტიტუტი, 2015) ისინი, ვისაც სტაბილური შემოსავალი აქვთ, უფრო მეტად არიან ინტეგრირებულნი, რადგან გააჩნიათ წვდომა საცხოვრებელზე და სამსახურზე, აქვთ გარკვეული სოციალური სტატუსი, რის შედეგადაც აღარ თვლიან საკუთარ თავს დევნილებად და მეტიც, აღარ აღიქმებიან დევნილებად სხვათა მიერ. (carulla, 2017)

უმუშევრობა რჩება იმ ერთ-ერთ ყველაზე პრობლემატურ საკითხად, რომელიც დევნილებს აწუხებთ. ისინი თვლიან, რომ სწორედ დასაქმების მცირე შესაძლებლობები ქმნის საზოგადოებაში ინტეგრაციის სირთულეს. (ინსტიტუტი, 2015)

იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების მასშტაბურობასა და საკითხის შესწავლის აუცილებლობას მოწმობს როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების რაოდენობა. 2009 წელს საერთაშორისო ორგანიზაციის *Conciliation Resources* მიერ ჩატარებული კვლევა ,,გარიყულობიდან ჩართულობისკენ'' მოიცავს განცალკევებულობისა და გაუცხოების ასპექტებს, ასევე დევნილთა ჩართულობას პოლიტიკურ საკითხებში. ავტორები კვლევაში საუბრობენ დევნილობის პოტენციურ შედეგებზე და აღწერენ საზოგადოებასთან გაუცხოების პროცესს. ,,დევნილობაში ცხოვრებას გარდაუვალად თან სდევს გარშემო მყოფი საზოგადოებისაგან გაუცხოების განცდა. იძულებით გადაადგილებულ პირებში გაუცხოების გაჩენას სხვების მიერ მათი მეორეხარისხოვან ადამიანებად მიჩნევის განცდაც განაპირობებს. ეს გამოიხატება იმაში, რომ ისინი სხვებთან ერთად თანაბრად ვერ სარგებლობენ სოციალური მომსახურების სიკეთეებით, იძულებულნი არიან იცხოვრონ კოლექტიურ ცენტრებში და ვერ მონაწილეობენ პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. ზოგ შემთხვევაში რეგიონალური ან სუბ–ეთნიკური განმასხვავებელი ნიშნები, რომლებიც წარმოშობის ადგილთან ასოცირდება, ემატება იმ თავისებურებებს, რომლებიც გამოარჩევს იძულებით გადაადგილებულ პირებს გარშემო მყოფი საზოგადოებისაგან, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სოციალური განცალკევებულობის განცდას.'' (resources, 2009) მოცემული კვლევა ჩატარებულია 2009 წელს, როდესაც სიტუაცია ჯერ კიდევ ადრეული განვითარების ფაზაში იყო, რის შემდეგაც სახელმწიფოს მიდგომა იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების გადასაჭრელად შეიცვალა და როგორც ზემოთ აღინიშნა, მოდიფიცირდა დევნილთა შესახებ სახელმწიფო სტრატეგია.

2015 წელს გაეროს მხარდაჭერით ჩატარდა ,,დევნილთა დამოკიდებულების კვლევა გრძელვადიანი გადაწყვეტილებების შესახებ: საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა მოსაზრებების გაჟღერება'' რომლის თანახმად, რესპონდენტების უმრავლესობა, 57,3% თავს სრულიად ინტეგრირებულად გრძნობს, მესამედი - 33,3% ნაწილობრივ ინტეგრირებულად, 8,3% კი - არაინტეგრირებულად. ამავე კვლევის ფარგლებში, მათ აღწერეს ის ძირითადი ინდიკატორები, რაც აუცილებელია მათი ინტეგრაციისათვის. ერთი მხრივ, ისინი აუცილებლად მიიჩნევენ დოკუმენტებზე

წვდომის შესაძლებლობას და საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობას, მეორე მხრივ, კი, თვლიან რომ ეს ყოველივე შეუძლებელია ახალ გარემოში მეგობრებისა და ნაცნობების შემენისა და სხვა ადამიანთა მიერ მათი უცხოდ აღქმის პრეცედენტის არსებობის გაქრობის გარეშე. (ინსტიტუტი, 2015)

ურბანული გადაადგილება (Urban displacement) თავისთავად არ არის უარყოფითი მოვლენა. ბევრი დევნილისთვის ურბანულ სივრცეში გადაადგილება შეიძლება წარმოადგენდეს ხანგრძლივ ან მოკლევადიან პრობლემის გადაჭრის გზას. გამოცდილება აჩვენებს, რომ კონფლიქტის, ძალადობის ან კატასტროფის შედეგად, ქალაქგარეთ ან ქალაქში დევნილი ადამიანები, ხშირად ირჩევენ იქ დარჩენას, მაშინაც კი, როდესაც შეუძლიათ უსაფრთხოდ დაბრუნდნენ სახლში. გადაადგილება, მიგრაციის სხვა ფორმებთან ერთად, არის ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს ურბანიზაციას. ეს იმიტომ ხდება, რომ თავშესაფრის გარდა, ქალაქები მათ ასევე სთავაზობენ შესაძლებლობებს - დასაქმებისთვის, ჯანდაცვისა და განათლების ხელმისაწვდომობისთვის. ურბანულ რაიონში ცხოვრება შეიძლება იყოს რთული, როგორც ადგილობრივი ღარიბებისთვის და ასევე დევნილებისთვის. მიუხედავად ამისა, ურბანული სივრცე მათ ხშირად აძლევთ უკეთესი მომავლის ხედვის შესაძლებლობას. (Ferrera, Isis Nunez; Aubrey, Dyfed; Earle, Lucy; Loose, Stephanie, 2020)

გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული საკითხი აქტუალობას არ კარგავს, მნიშვნელოვანია მონაცემთა განახლება და შედარებითი ანალიზის წარმოება, იმისათვის რომ შევძლოთ არსებული მდგომარეობის სრულფასოვანი სურათის დანახვა. სწორედ ამიტომ აღნიშნული კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნება 1991-1993 და 2008 წლებში რუსეთის აგრესიის შედეგად თბილისის დასახლებაში იძულებით გადმოსულ პირთა რესოციალიზაციის, ურბანულ გარემოსთან ადაპტაციისა და ინტეგრაციის თავისებურებები.

კვლევის მიზანი და ამოცანები

მოცემული კვლევის მიზანია, იმ პრობლემების შესწავლა, რომელთაც იძულებით გადაადგილებული პირები აწყდებოდნენ/აწყდებიან საზოგადოებაში ინტეგრირებისა და თბილისის ურბანულ გარემოსთან ადაპტაციის პროცესის კვალდაკვალ.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე დასახულია შემდეგი ამოცანები:

- ვიკვლიოთ, იძულებით გადაადგილებულ პირთა რესოციალიზაციასა და გაუცხოებასთან დაკავშირებული სირთულეები;
- შევისწავლოთ, რამდენად რთული იყო და რა დრო დასჭირდა ემოციური მდგომარეობის დასტაბილურებასა და გაუმჯობესებას ოკუპაციისა და იძულებითი მიგრაციის პირობებში - როგორ მოახერხეს დევნილებმა ფსიქო-ემოციური ინტეგრაცია;

- შევისწავლოთ, როგორ შეიცვალა დევნილთა სოციალური ურთიერთობები იძულებით გადაადგილების პირობებში და როგორ მოახდინეს სოციალური ურთიერთობების რეკონსტრუქცია;
- შევისწავლოთ, რა სირთულეებს აწყდებოდნენ/აწყდებიან განათლებისა და ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის კუთხით;
- დავადგინოთ, რა სირთულეებსა და დაბრკოლებებს გადააწყდნენ დევნილი პირები ქართული შრომის ბაზარზე ინტეგრაციის პროცესში და რამდენად რთული იყო ამ დაბრკოლებებთან გამკლავება;
- როგორ აღწერენ დევნილები ინტეგრაციის პრობლემების გადაჭრის პერსპექტივას.

შერჩევა

აღნიშნული კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც რუსეთის აგრესიის შედეგად დასახლდნენ თბილისის ურბანულ სივრცეში. განახლებული სტატისტიკის მიხედვით ირკვევა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა 616 დასახლება სწორედ ქალაქ თბილისში მდებარეობს, სადაც რეგისტრირებულია 100 924 დევნილი (geostat.ge, 2021) ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია საქართველოს მასშტაბით. ამ მხრივ შერჩევა ხასიათდება მიზნობრიობითა და ჰომოგენურობით. კვლევისათვის საინტერესოა იმ ადამიანთა ინტერვიუირება, რომლებიც 1991-1993 და 2008 წლების პერიოდში იძულებით გადაადგილებისას იყვნენ სულ მცირე 16 წლის. რადგან მოცემული საკითხი რესპონდენტებისგან მოითხოვს ცხოვრებისეულ გამოცდილებებს, შესაბამისად დაწესდა ამგვარი ასაკობრივი შეზღუდვა. რაც შეეხება ისეთ სოციო-დემოგრაფიულ მახასიათებელს, როგორიცაა სქესი, მონაწილეობას მიიღებენ როგორც მდედრობითი, ასევე მამრობითი სქესის რესპონდენტები. აღნიშნული ჰეტეროგენულობა სქესის მიხედვით, შესაძლებელს გახდის განსხვავებული ტენდენციებისა და გამოცდილების დანახვას ინტეგრაციის პროცესში.

საკითხის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, რესპონდენტთა რეკრუტირებისთვის გამოიყენება ე.წ ,,თოვლის გუნდის'' მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს მკვლევრისადმი სანდოობის მაღალ ხარისხსა და რესპონდენტების გულწრფელობას.

იძულებით გადაადგილების საწყისი ეტაპი

1991-1993 და 2008 წლებში მომხდარმა შეიარაღებულმა კონფლიქტმა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და სამაჩაბლოში, იძულებით გადაადგილებულ პირთა გაჩენა გამოიწვია და შეცვალა ამ ადამიანთა ცხოვრების ყველა ასპექტი. დევნილობის საწყის ეტაპზე თავი იჩინა უამრავმა პრობლემამ. პრობლემები იყო სხვადასხვაგვარი: მატერიალური მდგომარეობის გაუარესება, საცხოვრებელი ფართის ძიებასთან

დაკავშირებული სირთულეები, განათლების მიღების გამოწვევები, გაუცხოება, სოციალური ურთიერთობების აღდგენა, ახალი სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბება და ა.შ.

რესპონდენტებმა ისაუბრეს იმ რთული გზის შესახებ, რომელიც მათ იძულებით გადაადგილების დროს გამოიარეს. ეს გამოცდილება საზიაროა თითოეული მათგანისათვის, როგორც აფხაზეთიდან, ასევე სამაჩაბლოდან დევნილი ადამიანებისთვის:

,, მე ვიყავი ფეხმძიმედ, 7 თვის ფეხმძიმე ვიყავი, 11 თვის პირველი შვილი უფროსი გოგო მყავდა. რამდენიმე დღე ველოდებოდით ვერტმფრენის მოსვლას რომ მერე წამოვსულიყავი იქიდან, რადგან ფეხით სიარულს ველარ შევძლებდი უღელტეხილზე. იქ ისეთი სიტუაცია იყო და ისეთი ჯოჯოხეთი ტრიალებდა, ნამდვილად ველარ გადმოვიდოდი, იმიტომ რომ, ძალიან ბევრი დაიღუპა იმ უღელტეხილზე, ბავშვები, ფეხმძიმეები და ამიტომ მოვედი პერევლის ძირამდე."(23-34) (მდ, 51, აფხაზეთი -1993)"

მოცემულ ბიოგრაფიულ-ნარატიულ ინტერვიუებში რესპონდენტების გამოცდილება ანალოგიურია იძულებით გადაადგილების შესახებ. კერძოდ, ყველა მათგანმა საცხოვრებელი ადგილი დატოვა ოჯახთან ერთად. საყურადღებოა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური საჭიროებების შესახებ არაერთი კვლევა ჩატარებულა. ერთ-ერთი რაოდენობრივი კვლევის შედეგებმა ასევე აჩვენა, რომ გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობამ (86,7%) საცხოვრებელი ოჯახის წევრებთან ერთად დატოვა, 4,2-%-მა ნათესავთან ერთად, 2-3% არის იმ რესპონდენტების ხვედრითი წილი, რომელთაც შედარებით უსაფრთხო ტერიტორიაზე გადასვლა მარტომ, მეგობრებთან ან მთელ სოფელთან ერთად გადაწყვიტეს. (მაცაბერიძე , სალომე; მჭედლიშვილი, ნინო;, 2018)

ფსიქო-ემოციური ინტეგრაცია

აღნიშნულ ფაქტებს თან ებმის რესპონდენტთა რთული და მძიმე ფსიქო-ემოციური მდგომარეობა. იძულებით გადაადგილების პროცესმა ასევე დიდი გავლენა იქონია მათ ფიზიკურ ჯანმრთელობაზე.

,,გამოვიარეთ ძალიან რთული, ურთულესი გზა, ისეთი რთული რომ ვერ გადმოგცემ. ორი პატარა ბავშვით ჩემთვის სრულიად უცხო გარემოში მომიხდა ცხოვრების გაგრძელება." (310-314) (მდედრობითი, 62წ., აფხაზეთი -1993)

,,ძირითადად ჯანმრთელობაზე აისახა დედაჩემს რაღაც სმენის პრობლემები ჰქონდა, მამაჩემს გულის პრობლემები მერე მომდევნო წლებში და ანუ ეს უფრო ჯანმრთელობის თვალსაზრისით გამოიხატა. სავარაუდოდ ფსიქოლოგიურმა განაპირობა ეს ყველაფერი რომ ვერ გამოხატავ რაღაცებს მაგ ფორმით გადმოდის უკვე." (1685-1701) (მდედრობითი, 35, სამაჩაბლო-2008)

როგორც რესპონდენტები აფასებენ ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემები პროვოცირებული იყო იმ სტრესით, რომელიც იძულებით გადაადგილებამ დაუტოვა მათ.

იძულებით გადაადგილებულ პირთა ფსიქო-ემოციური ინტეგრაციის საკითხსაც ეხება, ა.კ. კარილიოს ნაშრომი „იძულებით გადაადგილება კოლუმბიაში: ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური შედეგები ურბანული პარამეტრებით და მიმდინარე გამოწვევები“. მის თანახმად დევნილთა დეპრესიის, შიშის, აგრესიისა და სხვა მრავალი ფსიქოლოგიური მდგომარეობის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი ისაა, რომ ამ ადამიანებს „ახალ სიტუაციასთან შეგუება უწევთ იმ ადამიანთა შორის, ვინც არც კი იცის რომ მათ პრობლემა აქვთ“ (Carillo, 2009, P.540).

აქვე უნდა აღინიშნოს რესპონდენტთა განსხვავებული შეფასება ფსიქო-ემოციურ მდგომარეობასთან დაკავშირებით: რესპონდენტები, რომლებსაც ადრეულ ასაკში მოუწიათ საცხოვრებელი ადგილის დატოვება თვლიან, რომ მათი მშობლებისთვის ბევრად რთული იყო იძულებით გადაადგილება და თანმხლები პროცესი. გარდა ამისა აღნიშნავენ, რომ ფსიქოლოგიური ტრავმებისგან რეაბილიტაციას უფრო ნაკლები დრო დასჭირდა, მშობლების შემთხვევისგან განსხვავებით.

რესპონდენტები ასევე აფასებენ ოჯახთან ურთიერთობას იძულებით გადაადგილების შემდგომ, არსებობს ცალკეული შემთხვევები, როდესაც სტრესმა და ფსიქოლოგიურმა ტრავმებმა ოჯახის წევრების დისტანცირებას გაუწია პროვოცირება, თუმცა მეორე მხარეს ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც რესპონდენტების ოჯახთან ურთიერთობის პროცესში გამოიკვეთა უფრო მეტი სიახლოვის საჭიროება და უფრო მეტად გრძნობდნენ ერთად ყოფნის აუცილებლობას. შესაბამისად, ამ შეფასებებში რესპონდენტები არ არიან ერთსულოვნები და ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ რეფლექსიას იძლევიან.

„ჩვენ ხომ დასტრესილები ვიყავით ბავშვები, თინეიჯერები, მაგრამ ჩვენი მშობლებიც დასტრესილები იყვნენ, იმათთვის შეიძლება კიდევ უფრო მძიმე იყო იმ პერიოდში ვიდრე ჩვენთვის, რადგან მთელი ცხოვრების ნამუშევარი ესე დაკარგეს. ამიტომ ზოგიერთ შემთხვევაში იყო, რომ მშობლებს ველარ ვუგებდით, ჩვენსა და მშობლებს შორის ხარვეზები იყო კომუნიკაციაში, ერთმანეთის ხშირად არ გვესმოდა.”.” (1195-1205) (მამრობითი, 36, სამაჩაბლო -2008)

„კიდე მქონდა შეგრძნება, რომ, აი, მინდოდა რომ ყველა ერთად ვყოფილიყავით ოჯახის წევრები მუდმივად, ალბათ, ეს დაფანტულობის შეგრძნება, იმ პერიოდში საფრთხის შეგრძნება იყო და რაღაცნაირად ერთად ყოფნის მოთხოვნილება გვქონდა“ (1694-1698) (მდედრობითი, 35, სამაჩაბლო-2008)

რესპონდენტებმა საბოლოოდ შეაფასეს თავიანთი ფსიქო-ემოციური რეინტეგრაცია. საინტერესოა, რომ, პრაქტიკულად, ყველა რესპონდენტი თანხმდება იმაზე, რომ დროთა განმავლობაში მათ ისწავლეს ამ ტკივილთან ერთად ცხოვრება, ემოციების მართვა/კონტროლი, იძულებით გადაადგილების გამო გამოწვეულ სტრესთან გამკლავება.

საცხოვრებელი ადგილის მოძიება და საყოფაცხოვრებო პირობები

პირველი და ძირითადი პრობლემა, რომელსაც იძულებით გადაადგილებული პირები გადააწყდნენ საცხოვრებელი ფართის მოძიებასთან იყო დაკავშირებული. როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, თავდაპირველად, თავი შეაფარეს ოჯახის ახლობლებს/ნათესავებს, რომლებიც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ:

„გვყავდა აქ ნათესავები, ვინც გაგვიღო კარები, ვინც მიგვიღო საკუთარი ოჯახივით, მადლობა მათ დიდი ამისთვის, ცოტახნით იქ ვცხოვრობდით“ (345-348) (მდედრობითი, 62წ., აფხაზეთი -1993)

რესპონდენტები თვლიდნენ, რომ შეუძლებელი იყო ოჯახის ახლობლებთან/ნათესავთან მუდმივად ცხოვრება და ეს მხოლოდ პრობლემის პერმანენტული გადაწყვეტა იყო, შემდეგ ეტაპზე მათმა ნაწილმა გადაწყვიტა, რომ საერთო საცხოვრებელში გაეგრძელებინა ცხოვრება, ნაწილს კი მოუწია სხვადასხვა მიტოვებულ შენობებში შესახლება.

„ ჩვენ ვცხოვრობდით ნათესავთან. მოგეხსენებათ, ნათესავთან ვერ იცხოვრებდი განუსაზღვრელი დროით და ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ნათესავიდან სადმე გადავსულიყავით.” (719-722)... „მამა შეეცოდათ და მოგვცეს რაღაც 12 კვადრატი საერთო საცხოვრებელში, ეს იყო მსუბუქი მრეწველობის საერთო საცხოვრებელში.” (675-679) (მდედრობითი, 47წ, აფხაზეთი-1993)

„სახლს რაც შეეხება, თბილისში ჩემი მული ცხოვრობდა და მან გვითხრა, რომ ასე დევნილები შედიან ბაღშიო, არ მუშაობს, არ ფუნქციონირებსო და განათლების ბალანსზე იჯდა და შემოვედით ამ ბაღში ნუცუბიძის პლატოზე და რომ მოვიდა ვისაც ეკუთვნოდა ეს ბაღი პრობლემა არ შეჰქმნია, არ უჩხუბია, იყავით არ ფუნქციონირებსო და თქვენ პირიქით გაალამაზებთ აქაურობას, თორემ არაფერს არ გააფუჭებთო“ (105-111) (მდ, 51, აფხაზეთი -1993)

2008 წლის აგვისტოს ომის და იძულებით გადაადგილების გამო, როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, სახელმწიფომ მათ დართო ნება დროებით შესულიყვნენ ისეთ შენობებში, რომლებიც იყო სახელმწიფოს საკუთრებაში, თუმცა არ იყო ათვისებული. ამ შენობებს შორის იყო მეცნიერებათა აკადემიის შენობა და ვაშლიჯვრის კოლეჯი.

„თავიდან როგორც გითხარით ვცხოვრობდით მეცნიერებათა აკადემიაში, ერთ ოთახში ვცხოვრობდით მე, დედაჩემი, მამაჩემი და ჩემი ორი და.“(1133-1136) (მამრობითი, 36, სამაჩაბლო -2008)“

2018 წელს ჩატარებული გამოკითხვა მსგავს შედეგებს აღწერს. კერძოდ, იძულებით გადაადგილებულ პირთა 30% საცხოვრებელი ფართის მიღებამდე ცხოვრობდა ნათესავთან; 30%- შესახლდა სხვადასხვა ტიპის შენობებში; 29,6% - ცხოვრობდა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ ფართში (ხშირ შემთხვევაში ეს ფართი ასევე წარმოადენდა სკოლებისა თუ საბავშვო ბაღებისა და ა.შ ტიპის შენობებს). სხვა ვარიანტებს

შორის, 4,2 %-ისთვის არჩევანი იყო ფართის ქირაობა; ხოლო 3,3% კი მათივე საკუთრებაში ცხოვრობდა, კონფლიქტის ზონის მიღმა. (მაცაბერიძე , სალომე; მჭედლიშვილი, ნინო;, 2018)

გარდა ამისა, რესპონდენტებმა აღწერეს ის საცხოვრებელი პირობები, რომლებიც დახვდათ საერთო საცხოვრებლებში, ბაღებსა და სხვა შენობებში, მოცემული შეფასებები გამოირჩევა ჰომოგენურობით, თითოეული მათგანის გამოცდილება იდენტურია და მიუთითებდნენ მძიმე პირობებზე, რომლებთან გამკლავებაც მათ უწევდათ:

„ამ პერიოდში ჩვენ ვცხოვრობდით საერთო საცხოვრებელში, რომელსაც ჰქონდა საერთო საცხოვრებლის ყველაზე ცუდი პირობები, ანუ უკიდურესად მძიმე სველი წერტილები, არ ჰქონდა აბაზანა, არ ჰქონდა სამზარეულო და ა.შ.“ (680-685) (მდედრობითი, 47წ, აფხაზეთი-1993)

„არ გვქონდა აბაზანა და ტუალეტი, საერთო იყო, უფრო სწორად აბაზანა საერთოდ არ იყო, ტუალეტი იყო და იქ ვბანაობდით. რომ არ შემეშალოს ამ პატარა შენობაში ვიქნებოდით დაახლოებით 70-დან 100 კაცამდე და გვქონდა ორი სივრცე სადაც ვბანაობდით ხოლმე ამდენი ხალხი..... გაზი არ გვქონდა, ძირითადად გაზის ბალონები გვქონდა საერთო სამზარეულოსავით და იქ ვაკეთებდით.” (1218-1224) (მამრობითი, 36, სამაჩაბლო -2008)

სამაჩაბლოდან დევნილი ინდივიდებისთვის საერთოა გამოცდილება მუდმივი საცხოვრებელი ფართის მიღებასთან დაკავშირებით, მათი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა სახელმწიფომ შეძლო ომიდან რამდენიმე თვის შემდეგ. საცხოვრებელი ფართის მოძიების პროცესს რესპონდენტები აფასებენ, როგორც არც თუ ისე რთულს, რადგან თვლიან, რომ აფხაზეთის შემთხვევაში აღნიშნული პროცესი მეტ სირთულეებთან იყო დაკავშირებული.

სახელმწიფოს მიერ გადაცემული გრძელვადიანი საცხოვრებლების ძირითადი პრობლემა, როგორც რესპონდენტები აცხადებენ, იყო ფართის სიმცირე. ფართი, რომელიც იყო გათვლილი რამდენიმე სულიანი ოჯახებისთვის, რეალურად არ იყო საკმარისი მათი სრულფასოვანი ცხოვრებისთვის.

„იქ ვიყავით დაახლოებით სამი ოთხი თვე თუ არ ვცდები და მაგის მერე უკვე გადავედით სახელმწიფომ თავშესაფარი გაარემონტა და იქ დევნილები შეგვასახლა“ (1135-1137) (მამრობითი, 36, სამაჩაბლო -2008)

საცხოვრებელი ფართის მოძიების პროცესი 1991-1993 წლებში იძულებით გადაადგილებულ პირებისთვის, მათივე შეფასებით, ურთულესი აღმოჩნდა, როგორც აღნიშნავენ სახელმწიფოს მათთვის არ გადაუცია საცხოვრებელი ფართი და თავად უწევდათ ცარიელი/დაუსახლებელი შენობების მოძებნა და შესახლება.

„საცხოვრებელი ფართის მოძიება ურთულესი იყო. ძალიან რთული იყო. ჩვენ ფაქტობრივად დავრჩით ისე რომ საცხოვრებელი არ გვქონია. ჩვენ საცხოვრებლის გარეშე დავრჩით ფაქტობრივად.” (717-720) (მდედრობითი, 47წ, აფხაზეთი-1993)

სამაჩაბლოდან და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს, როგორც ზემოთ აღინიშნა, განსხვავებული გამოცდილება აქვთ გრძელვადიანი საცხოვრებლის მოძიებასთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ტენდენცია ფიქსირდება, სოციალური კვლევის და ანალიზის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ კვლევაში, სამაჩაბლოდან დევნილთა უფრო მეტმა პირმა მიიღო სახელმწიფოსგან ბინა და ბინის შესაძენად ფულადი დახმარება, ვიდრე აფხაზეთიდან წამოსულმა ინდივიდებმა. (სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2015)

როგორც აღინიშნა, დევნილთა თავდაპირველი საცხოვრებელი პირობები გაუსაძლისი იყო, თუმცა, როგორც ისინი აღნიშნავენ დღესდღეობით პირობები გაუმჯობესებულია. დევნილთა დიდი ნაწილი სახელმწიფოს უყურებდა როგორც მხსნელს, მშველელს და თვლიდნენ, რომ სახელმწიფოს უნდა გადაეჭრა მათი პრობლემები. თუმცა არსებობდა ისეთი ცალკეული შემთხვევები, როდესაც ინიციატივა საცხოვრებელში და მის გარშემო არსებული პრობლემების მოსაგვარებლად დევნილებმა თავიანთ ხელში აიღეს და აწყობდნენ ე.წ ,,შაბათობებს". ისინი არ იყვნენ ლოდინის რეჟიმში და ამგვარი ღონისძიებების მოწყობით ცდილობდნენ საკუთარი თავისთვის შეექმნათ პირობები.

,,ვასუფთავებდით ეზოს ყოველ შაბათ-კვირას, შაბათობასავით ვაწყობდით ეზოს ვასუფთავებდით, ყვავილებს ვრგავდით, ყველაფერს ვაკეთებდით რომ ლამაზ გარემოში გვეცხოვრა" (198-202) (მდ, 51, აფხაზეთი -1993)

მათი ძალისხმევის და შრომის შედეგად, იძულებით გადაადგილებულმა პირებმა შეძლეს შეექმნათ სრულფასოვანი საცხოვრებელი სივრცე. პრაქტიკულად, ყველა რესპონდენტი დარჩა იმ საცხოვრებელში, რომელშიც ისინი მოხვდნენ დევნილობის საწყის ეტაპზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს საცხოვრებელი ფართი დღესდღეობით მათ საკუთრებაშია.

სახელმწიფოს მხარდაჭერა

რესპონდენტებმა ინტერვიუების ფარგლებში ისაუბრეს სახელმწიფოს მხარდაჭერის და მზრუნველობის შესახებ, იძულებით გადაადგილებიდან დღემდე. სახელმწიფოს მხარდაჭერაზე საუბრისას არაერთგვაროვან შეფასებებს იძლევიან 1991-1993 და 2008 წლებში იძულებით გადაადგილებული პირები. კერძოდ, 1991-1993 წლებში იძულებით გადაადგილებული პირებისთვის სახელმწიფომ ვერ შეძლო სრულფასოვანი სერვისების მიწოდება, რაც დაკავშირებული იყო როგორც საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფასთან ასევე ფულად/მატერიალურ დახმარებასთან.

,,ჩვენ ვართ ის ოჯახი, რომელსაც არ გვისარგებლია არანაირი დახმარებით. ჩვენ არ მიგვიღია სახელმწიფოსგან ბინა. მე და ჩემი ძმა ვცხოვრობთ ჩვენ-ჩვენი შრომით მოპოვებულ ბინებში. ჩვენ არ მიგვიღია არანაირი სოციალური დახმარება. ერთადერთი რაც იყო ეს იყო 11 ლარიანი შემწეობა, რომელიც ახლა 45 ლარია და იმასაც არ ვიღებთ იმიტომ, რომ ხელფასი გვაქვს ასე რომ სახელმწიფოსგან ჩვენ ვართ ოჯახი, რომელსაც არანაირი დახმარება არ მიუღია" (909-918) (მდედრობითი, 47წ, აფხაზეთი-1993)

რაც შეეხება 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დევნილ პირებს, მათ შემთხვევაში, სიტუაცია მეტ-ნაკლებად გაუმჯობესებული იყო და საკითხი დევნილების შესახებ სახელმწიფოს დღის წესრიგში იდგა. როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, სახელმწიფომ მათ გამოუყო როგორც ფულადი/მატერიალური დახმარება, ასევე საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროცესი მობილური გახდა და გარკვეული სირთულეების გარეშე წარიმართა.

„პერიოდული დახმარებები პროდუქტითაც, თანხითაც იყო. მახსოვს სულთავიდან რომ გადმოვედით, სახარჯოდ რომ რაღაც გვქონოდა ეგეც, საკვები მუდმივად თუნდაც ეს ბინა, რომ არ მოგვიწია ასე მუდმივად იმ კოლეჯში შესახლებული ცხოვრება ვიღაცის საკუთრებაში. (1804-1808) (მდედრობითი, 35, სამაჩაბლო-2008)

კვლევაში საუბარია სახელმწიფოს გამოწვევებზე ამ პროცესთან დაკავშირებით- ხანგრძლივი განსახლების (გრძელვადიანი გადაწყვეტის) პროგრამის გავლენა კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილ მოსახლეობაზე თბილისისა და ფოთის მაგალითებზე, სადაც აღწერილია ის ძირითადი მიზეზი, რის გამოც მსგავს განსხვავებას ვაწყდებით სახელმწიფოს ქმედითუნარიანობის შესახებ. როგორც ავტორი აღნიშნავს, ყოველივე ეს გამოწვეულია იმით, რომ საქართველოს მთავრობას 2006 წლამდე საერთოდ არ ჰქონია ერთიანი ჩამოყალიბებული სტრატეგია იძულებით გადაადგილებულ პირებთან მიმართებით, იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ პოლიტიკა არ ყოფილა ჩართული სახელმწიფო სტრატეგიაში. მაშინ, როდესაც უკვე თითქმის 15 წელი იყო გასული მას შემდეგ რაც საქართველომ მიიღო კონფლიქტების შედეგად პირველი, საკუთარ ქვეყანაშივე დევნილი მოსახლეობის დიდი ტალღა. (კურდღელია, 2018)

სახელმწიფოს მხარდაჭერის შეფასებისას მოცემულ კვლევაში, პრაქტიკულად, ყველა რესპონდენტი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ფულადი დახმარება 45 ლარი, დღესდღეობით სრულიად არარელევანტურია და რომ არა მათი პირადი შემოსავალი, არ იქნებოდა საკმარისი მათი პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლადაც კი. შესაბამისად, ისინი თვლიან, რომ ფულადი დახმარება უნდა გაიზარდოს, თუმცა გამონაკლისის სახით რესპონდენტი აღნიშნავს, რომ სახელმწიფომ გამოუვალ სიტუაციაში (იძულებით გადაადგილების პირველ ეტაპზე) მათ მაქსიმალური დახმარება გაუწია და დღესდღეობით მისთვის დამატებით დახმარების მოთხოვნა არ არის სწორი: ***„რაღაცნაირად ვფიქრობ, რომ ის პერიოდი უშუალოდ რა დროსაც გვჭირდებოდა დახმარება დაგვეხმარნენ და ახლა როცა გაქვს უკვე შემოსავლის წყარო აღარ არის საჭირო, რომ სახელმწიფოს კმაყოფაზე იყო და ელოდებოდე როდის დაგეხმარება, იმიტომ რომ ძაან ბევრი ოჯახები ვიცი უფრო შეჭირვებული რომელთაც ჭირდებათ და ვერ ეხმარებიან."(1817-1828) (მდედრობითი, 35, სამაჩაბლო-2008)***

ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, რომელიც მოიცავდა საკითხებს სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ, გამოკითხული რესპონდენტები აცხადებენ, რომ სახელმწიფომ, არასამთავრობო ორგანიზაციებთან შედარებით, დევნილებს უფრო ეფექტური დახმარება აღმოუჩინა. აღნიშნული ფაქტი კი აიხსნება იმით, რომ სახელმწიფომ დევნილებს გადასცა საცხოვრებელი ფართი დევნილთა კომპაქტურ დასახლებაში. (მაცაბერიძე , სალომე; მჭედლიშვილი, ნინო;, 2018)

დევნილთა ნაწილი თვლის, რომ სახელმწიფოს მიერ გაწეული დახმარება ითვალისწინებდა პირად ინტერესებს. საყურადღებოა ერთ-ერთი რესპონდენტის შეფასება: ***„ჩემთვის რამდენადაც გასაგები იყო, ნუ მაშინ ცოტა უფრო პატარა ვიყავი, უფრო კომერციული ინტერესები იყო მთავრობის წევრების, სახელმწიფოს წარმომადგენლების, ვიდრე რეალურად დახმარების სურვილი." (1395-1399) (მამრობითი, 36, სამაჩაბლო -2008)***

შრომის ბაზარზე ინტეგრაცია

შრომის ბაზარზე ინტეგრაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია დევნილებისთვის. იძულებით გადაადგილებამდე დევნილებს არ ჰქონიათ ეკონომიკური პრობლემები. როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, მათ ოჯახს იძულებით გადაადგილებამდე ჰქონდა სტაბილური შემოსავალი და ოჯახის ზრდასრული წევრები იყვნენ ინტეგრირებული ადგილობრივ შრომის ბაზარზე.

ომის შემდგომი პერიოდი კრიზისული აღმოჩნდა დევნილთათვის, რადგან ისინი ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდნენ. უმეტესობამ დაკარგა შემოსავლის წყარო და მათთვის ბაზისური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაც კი შეუძლებელი გახდა. ამ პერიოდში დევნილთათვის ძირითადი საარსებო წყარო ჰუმანიტარული დახმარება გახდა. კვლევა, რომელიც ეხება სოციალური მუშაკის როლს და დევნილთა სოციალური საჭიროებებს 2008 წლიდან დღემდე, აღწერს ამ ტენდენციას. ანალიზის შედეგად, გამოვლინდა, რომ 2008 წელს იძულებით გადაადგილებულ პირთა 60,5%-ისთვის საარსებო წყარო სწორედ ჰუმანიტარული დახმარება იყო, 40%-ს ეხმარებოდნენ ახლობლები და ნათესავები, გარკვეულ რესპონდენტებს გააჩნდათ საკუთარი დანაზოგი, ნაწილს კი სახელმწიფო დაეხმარა. (მაცაბერიძე , სალომე; მჭედლიშვილი, ნინო;, 2018)

რაც შეეხება დევნილობის პერიოდს: რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ დასაქმების თვალსაზრისით, თბილისის ურბანულ სივრცეში დასახლების შემდეგ არ შექმნილა ბარიერი და შეძლეს სტაბილური შემოსავლის მოპოვება. დევნილის სტატუსი კი არასდროს გამხდარა დასაქმების ხელისშემშლელი ფაქტორი. იძულებით გადაადგილებული პირების თქმით, დასაქმების მოძიებისას და უშუალოდ მუშაობის პროცესში დისკრიმინაციის ფაქტები არ გამოვლენილა.

დღესდღეობით, გამოკითხული ყველა რესპონდენტი დასაქმებულია. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტებს დასაქმებასთან დაკავშირებით პრობლემა არ შეჰქმნიათ, მათ ნაწილს ხშირად უწევდა დროებით დაბალანაზღაურებად სამსახურებში მუშაობა. ასევე აღინიშნა, რომ ისინი საკუთარი პროფესიით არ არიან დასაქმებული.

„თავდაპირველად ვმუშაობდი ძიძად, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს სამსახური არ იყო მუდმივი. ბავშვის წამოზრდის მერე სხვა ოჯახში ვმუშაობდი დამხმარედ, რამდენიმე წელი ვმუშაობდი საკონდიტროში და შემდეგ ისევ ძიძად. ისეთი პერიოდი რომ სამსახური არ მქონოდა 3 თვეზე მეტ ხანს არ მქონია, ყოველთვის ვპოულობდი რაღაცას" (257-264) (მდ, 51, აფხაზეთი -1993)

გამოკითხულ რესპონდენტებში არიან ისეთები, რომლებიც იძულებით გადაადგილებამდე არ იყვნენ დასაქმებულნი, ასაკის გამო. თბილისის ურბანულ სივრცეში დასახლებისა და უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ, მათ შეძლეს თავიანთი პროფესიით დასაქმება და შრომის ბაზარზე სრულფასოვანი ინტეგრაცია.

დისკრიმინაციასთან დაკავშირებული გამოცდილება

რესპონდენტთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ ხშირად უგრძვნია დისკრიმინაცია საზოგადოების მხრიდან. განსაკუთრებით ამას აღნიშნავენ აფხაზეთიდან 1991-1993 წლებში იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც აცხადებენ, რომ იყო ცალკეული ფიზიკური ძალადობის შემთხვევებიც.

კავკასიის კვლევების რესურსცენტრმა ჩაატარა კვლევა, რომელიც დევნილთა დამოკიდებულებას დაბრუნების, კონფლიქტის მოგვარებისა და სამართლიანობის აღდგენის საკითხებს ეხებოდა. მოცემულ კვლევაში გამოიკვეთა, რომ რესპონდენტთა 9% - თავს დაჩაგრულად გრძნობს და განიცდის დისკრიმინაციას; 22% არ ეთანხმება ამ შეფასებას. საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერის შესახებ, იძულებით გადაადგილებულ პირთა 19% - აცხადებს, რომ ვერ გრძნობდა მხარდაჭერას, 15% - მეტ-ნაკლებად , 31%-ს აქვს ნეიტრალური დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით. (კალანდრიშვილი, ნინო; გაბაშვილი, მანანა; ბოკუჩავა, ირაკლი; მილორავა , ნუკრი; გვახარია, გოგი;, 2011)

ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაბრუნების შესაძლებლობა

აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილ პირებს იძულებით გადაადგილების შემდეგ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ე.წ საზღვრის გადალახვის შესაძლებლობა არ ჰქონდათ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სიტუაციის დასტაბილურების შემდეგ გარკვეულმა ინდივიდებმა შეძლეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაბრუნება და ცხოვრების გაგრძელება. კვლევის შედეგად გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ფაქტი: რესპონდენტმა აღნიშნა, რომ აფხაზეთში მშობლების სანახავად ჩასვლას იშვიათად, თუმცა ახერხებდა.

„მერე ჩემი მშობლები შევიდნენ გალში. აღადგინეს თავიანთი სახლი. იმიტომ რომ სახლი დამწვარი არ დახვდათ. აღადგინეს ეს სახლი... ყველაფერი, იქ დაიწყეს ცხოვრება, ჩვენც ვახერხებდით ძალიან იშვიათად იქ ჩასვლას. 427-430 [....] , ჩვენ ჩავდიოდით ბოლო პერიოდში აფხაზეთში მშობლების სანახავად, იქ გვყავდა დარჩენილი ბავშვობის მეზობლები, რომელთაც ისე უხაროდათ ჩვენი ჩასვლა, ეს იყო ჩვენთვის დიდი ზეიმი." 558-564 (მდედრობითი, 62წ., აფხაზეთი -1993)

რესპონდენტებმა ასევე ისაუბრეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაბრუნების შესაძლებლობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ, პრაქტიკულად, ყველა რესპონდენტმა შეძლო თბილისის ურბანულ გარემოში სრულფასოვანი ინტეგრაცია. ისინი აღნიშნავენ, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში აუცილებლად დაუბრუნდებიან საკუთარ სახლს.

„მე ვარ უკიდურესად გაქცევის ზღვარზე მყოფი დევნილი. ანუ ადამიანი, რომელიც ყოველდღე ელოდება დაბრუნებას. ვერაფრით ვერ შევძელი ამ ქალაქის მიღება და ვერცერთი სხვა ქალაქის მიღებას ვერ შევძლებდი, იმდენად დიდი მიჯაჭვულობა მქონდა აფხაზეთთან და იმდენად მიყვარდა ჩემი ქალაქი, რომ ვერაფრით ვერ მივიღე სხვა ვერცერთი ქალაქი." (1087-1092) (მდედრობითი, 47წ, აფხაზეთი-1993)

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, გამოიკვეთა ტენდენცია, რომელიც აღწერდა იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილებას. გამოკითხული რესპონდენტების 88,3% იზიარებდა მოსაზრებას საცხოვრებელ ადგილზე ნებაყოფლობით დაბრუნების შესახებ, ხოლო რესპონდენტთა 9% - გამორიცხავს დაბრუნებას, შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაშიც. (სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2015)

დასკვნა

კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმ პრობლემების შესწავლა, რომლებსაც იძულებით გადაადგილებული პირები აწყდებოდნენ/აწყდებიან საზოგადოების ინტეგრირებისა და თბილისის ურბანულ გარემოსთან ადაპტაციის კვალდაკვალ.

1991-1993 და 2008 წლებში იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი ნაწილი, (სოციალური სააგენტოს 2019 წლის მონაცემებით - 86 921) თბილისის ურბანულ გარემოში დასახლდა. მათმა უმრავლესობამ საცხოვრებელი ადგილი დატოვა ოჯახთან ერთად. დევნილებმა დედაქალაქში გადმოსვლა სხვადასხვა მიზეზის გამო გადაწყვიტეს. ერთ-ერთი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ურბანული რევოლუციისა და კაპიტალისტური საზოგადოებების ფორმირების კვალდაკვალ იზრდებოდა და იზრდება ინდივიდების-მუშაობის, სწავლის, განვითარებისა და სხვა მიზნებით - ურბანული დასახლებებისკენ სწრაფვა. იძულებით გადაადგილებული პირებისთვის მნიშვნელოვანი იყო თავშესაფარი ეპოვათ ისეთ სივრცეში, სადაც ექნებოდათ განვითარებისა და ახალი ცხოვრების დაწყების შესაძლებლობა. პირველ ეტაპზე ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენდა მუდმივი საცხოვრებლის მოძიება. აღნიშნულ კვლევაში გამოვლინდა მნიშვნელოვანი მიგნება საცხოვრებლის მოძიებასთან დაკავშირებით, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ 1991-1993 და 2008 წლებში იძულებით გადაადგილებული პირების გამოცდილება არსებითად განსხვავდება. ამ განსხვავებას განაპირობებს სახელმწიფოს მობილიზაციისა და მზაობის ხარისხი. დევნილთა ინტეგრაციის პროცესში სახელმწიფოს როლი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. 1991-1993 და 2008 წლებში იძულებით გადაადგილებული პირები არსებითად განსხვავებულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ, რადგან დევნილთა პირველი ტალღის მიღებისას საქართველო მეტად კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რაც დაკავშირებული იყო საბჭოთა კავშირისგან გათავისუფლებასა და ახალბედა დემოკრატიული სახელმწიფოს შენების პროცესთან. აღსანიშნავია, რომ 2008 წელს უკვე არსებობდა არასრულყოფილი, თუმცა მნიშვნელოვანი სამოქმედო გეგმა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად. მიუხედავად ამისა, ორივე შემთხვევაში დევნილთა საცხოვრებელი

პირობები თავდაპირველად გაუსაძლისი იყო, არ იყო დაცული სანიტარული და ჰიგიენური ნორმები, შეუძლებელი იყო ვიტალური მოთხოვნილებების სრულყოფილად დაკმაყოფილებაც კი. როგორც კვლევიდან გამოვლინდა, 2022 წლისთვის, საცხოვრებელი პირობები მნიშვნელოვნად შეცვლილია, დევნილთა გარკვეულმა ნაწილმა საკუთარი შრომითა და ფინანსური შესაძლებლობებით შეძლო სრულფასოვანი საცხოვრებელი პირობების შექმნა.

რაც შეეხება განათლების სფეროსა და ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობას, მოცემული კვლევა ადასტურებს, რომ დევნილებს არ ექმნებოდათ პრობლემა განათლების მიღებისა და ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის მხრივ. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფომ და თბილისის ურბანულმა სივრცემ, იმ ინდივიდებს, რომლებმაც შედარებით ადრეულ ასაკში დატოვეს ოკუპირებული ტერიტორია, მისცა უმაღლესი განათლების უფასოდ მიღების შესაძლებლობა.

იძულებით გადაადგილება ფსიქოლოგიურ ტრავმებთან არის დაკავშირებული. ფსიქო-ემოციური ინტეგრაციის თვალსაზრისით, დევნილებმა რთული გზა გაიარეს. მათ წლების განმავლობაში უწევდათ დაეძლიათ შიში, სტრესი, დეპრესია, შფოთვა, ინსომნია და სხვა. რთულმა ფსიქო-ემოციურმა გამოცდილებამ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა მათ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წლების შემდგომ მათ შეძლეს ფსიქო-ემოციური ინტეგრაცია. დევნილთათვის ერთადერთი გამოსავალი ამ კუთხით იყო - დრო. დროთა განმავლობაში მათ ისწავლეს იმ მძიმე გამოცდილებასთან ერთად ცხოვრება, რომელიც იძულებით გადაადგილების დროს მიიღეს, შეძლეს საკუთარი ემოციების კონტროლი და ამასთან ერთად ცხოვრება.

იძულებით გადაადგილებულ პირთა რესოციალიზაციის გზაზე მნიშვნელოვანი იყო პირველად და მეორეული ჯგუფის წევრებთან ურთიერთობის რეკონსტრუქცია. დევნილობის პირველ ეტაპზე ოჯახის წევრების ერთმანეთთან ურთიერთობის ფორმატმა იცვალა სახე, ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით. ერთი მხრივ, მოხდა ოჯახის წევრების ერთმანეთისგან დისტანცირება და იზოლაცია, მეორე მხრივ მოხდა ოჯახის წევრების დაახლოება. იზოლაციისა და დისტანცირების შემთხვევაში, ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ იძულებით გადაადგილებული პირები თავიანთი ემოციების გაზიარებით ფიქრობდნენ, რომ დამატებით დარდს გაუჩენდნენ ერთმანეთს და უმჯობესი იქნებოდა არ ესაუბრათ საკუთარ პრობლემებზე. მეორე მხრივ, იძულებით გადაადგილებამ და გამოწვეულმა შედეგებმა ამ ადამიანებს უფრო მეტად დაანახა ოჯახის წევრების ერთად ყოფნის საჭიროება და ერთმანეთთან კომუნიკაციის აუცილებლობა, პრობლემებზე და საკუთარ ემოციებზე საუბარმა უფრო მეტად დააახლოვა ისინი.

რაც შეეხება პირველადი ჯგუფის სხვა წევრებს, გარდა ოჯახისა, კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ამ ადამიანებმა დევნილობის საწყის ეტაპზე სრულიად დაკარგეს მყარი სოციალური ურთიერთობები, რომლებიც აკავშირებდათ ნათესავებთან და მეგობრებთან, ეს ფაქტი შესაძლებელია აიხსნას იმით, რომ მათი შიდა მიგრაციის პერიოდში ჯერ კიდევ მყარად არ იყო ფესვგადგმული ქსელური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები, თუმცა *იკტ-ს* ყოველდღიური

ცხოვრების განუყოფელ ნაწილად ქცევამ ხელი შეუწყო ძველი სოციალური ურთიერთობების აღდგენასა და კვლავწარმოებას.

რესოციალიზაციის პროცესში ისეთივე მნიშვნელოვანი როლი უჭირავს მეორეული ჯგუფის წევრებთან ურთიერთობას, როგორც პირველადის შემთხვევაში, მაგალითად სამეზობლოსთან ინტეგრაციის პროცესი იძულებით გადაადგილებული პირებისთვის დადებითად დასრულდა. მიუხედავად გარკვეული პრობლემებისა, დევნილებმა და ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა შეძლეს ერთ სივრცეში ცხოვრება და მეტიც, გარკვეულ შემთხვევებში მყარი სოციალური და ემოციური კავშირები დაამყარეს ერთმანეთთან.

ინტეგრაცია გარდა სოციალურ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობისა, აგრეთვე მოიცავს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასპექტებს. აღნიშნული კვლევის საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დევნილებმა მოახერხეს როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ინტეგრაცია. შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის პროცესში დევნილები არ აწყდებოდნენ მნიშვნელოვან დაბრკოლებებს, მათ შეძლეს ეკონომიკური სტაბილურობის მოპოვება. რაც შეეხება დევნილების პოლიტიკურ ჩართულობას - მრავალი კვლევა მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ დევნილები მიეკუთვნებიან მოწყვლად ჯგუფებს. საინტერესოა, რომ კვლევის შედეგები იძლევა დასკვნის საფუძველს - დევნილები არიან ჩართულნი პოლიტიკურ აქტივობებში და იაზრებენ სამოქალაქო პასუხისმგებლობას.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ დევნილები თბილისის ურბანულ სივრცეში ინტეგრაციის საწყის ეტაპზე სოციალური გაუცხოებისთვის დამახასიათებელ ყველა ნიშანს ავლენდნენ, როგორებიცაა: სოციალური იზოლაცია, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაურთველობა, პოლიტიკური იზოლაცია, ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუარესება და ა.შ. კვლევა აჩვენებს რომ, დღესდღეობით, ზემოაღნიშნული პრობლემები მნიშვნელოვნად გადალახულია. შესაბამისად, დევნილთა დიდი ნაწილი თბილისის ურბანულ სივრცეში თავს ინტეგრირებულად გრძნობს, როგორც სოციო-ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა

Carulla, S. b. (2017). Resocialization of "desplazados" in small Pentecostal congregations in Bogotá, Colombia. Refugee Survey Quarterly, 36-46.

Ferrera, I; Aubrey, D; Earle, L; Loose, S. (2020, may). IDPs in towns and cities – working with the realities of internal displacement in an urban world. international institute for environment and development.

Conciliation resources (2009). გარიყულობიდან ჩართულობისკენ.

Solomon, R. C. (2020). The variety and complexity of emotions. From - britannica.com.

ბერძენიშვილი, ა. (2019). თანამედროვე სოციალური თეორიები. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კალანდრიშვილი, ნ; გაბაშვილი, მ.; ბოკუჩავა, ი.; მილორავა , ნ.; გვახარია, გ.;. (2011). დევნილთა ინტეგრაციის საკითხები დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში. თბილისი: ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი.

კაჭკაჭიშვილი, ი. (2014). სოციალური სივრცე და ურბანული განვითარება. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

კურდღელია, ე. (2018). ხანგრძლივი განსახლების (გრძელვადიანი გადაწყვეტის) პროგრამის გავლენა კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილ მოსახლეობაზე თბილისისა და ფოთის მაგალითებზე. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მაცაბერიძე , ს.; მჭედლიშვილი, ნ.;. (2018). 2008 წლის ომის შედეგად კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური საჭიროებების და სოციალური მუშაკის როლის კვლევა 2008 წლის ომიდან დღემდე. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ოვსიაკოვნა, ნ; ურიდია, ს; ვაშაკიძე, ქ; მიქიაშვილი, ნ;. (2005). მოხელის სამაგიდო ლექსიკონი. თბილისი: გაეროს განვითარების პროგრამა.

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი. (2015). დევნილთა დამოკიდებულების კვლევა გრძელვადიანი გადაწყვეტილებების შესახებ: საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა მოსაზრებების გაჟღერება. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი